# საქართველო

№ 21 — ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი — 8 ნოემბერი 1942 წ.

## ჩვენი ხალხის ბედი ჩვენს ხელშია

ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების დროს მრავალ ჩვენგანს არ ესმოდა ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ბედისათვის. გამოვდიოდით რა წმინდა ნაციონალური ინსტიქტიდან ალასავსენი ვიყავით შურისძიების გრძნობით, ჩვენი მჩაგვრელის, ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ვერ იპოვით ლეგიონერს, რომელიც არ დასტიროდეს მშობელს, ახლობელს, ადამიანებს, რომლებიც გახდნენ ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლნი. ერთი ებრაელი მწერალი ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ სწერდა, რომ ქართველ ხალხს აქვს დამახასიათებელი თვისება-საუკეთესო მახსოვრობა. მგონი ეს მართალია.

თუ ვინმემ ოდესმე ჩვენი ერისათვის კარგი რამ გააკეთა ხალხს ის არ დაუვიწყნია, მაგრამ ჩვენ არაოდეს დავივიწყებთ აგრეთვე ჩვენდამი მოყენებულს მწუხარებასა და უსამართლობას. ამ გრძნობით გავხდით ჩვენ ლეგიონერნი, თვითეულ ჩვენგანს გვქონდა სურვილი პასუხი მოგვეთხოვა დამნაშავისათვის, ყველა იმ სისხლისათვის რომელიც დაღვარეს ბოლშევიკებმა საქართველოში მათი 20 წლის ბატონობის მანძილზე.

ლეგიონში ჩვენ შევხვდით თანამემამულეებს, დიადი გერმანიის მფარველობის ქვეშ მხნედ გადავეხვიეთ ერთმანეთს, გაუზიარეთ აზრი, გამოვნახეთ საერთო ენა, მალე გავიგეთ თუ რა დიადი და გადამწყვეტი ამოცანა აღმოცენდა ჩვენს წინაშე. პასუხსაგები ამოცანა ჩვენი ერისა, ჩვენი ისტორიისა უეცრად აღმოჩნდა ჩვენი თაობის ხელში.

არაოდეს დავივიწყებთ იმ დღეს, როცა გერმანიის ერთმა უმაღლესმა ოფიცერმა ერთ-ერთ ლეგიონერს საზეიმოდ გადასცა ჩვენი სახელოვანი შვინდისფერი დროშა. სიტყვამ, რომელიც წარმოსთქვა გერმანელმა ოფიცერმა ჩვენს გულში დასტოვა ჩაუქრობი შთაბეჭდილება. ეს ისტორიული მომენტი ყოველთვის იქნება დაკავშირებული ჩვენს სამადლობელთან გერმანიის ხალხისა და მისი ბელადისადმი. ჩვენ და ჩვენი შემდგომი თაობა ბრწყინვალედ შეინახავს ხსოვნაში ამ მოვლენას. ამ დღიდან თვითეული ლეგიონერი გრძნობს, რომ ერის ბედიღბალი მის მხრებზე წევს, თვითეულის გულში ჩაითქვა უწმინდესი ფიცი იყოს ღირსი შვინდისფერი,თამარ-მეფის დროშისა და იმ სისხლისა, რომელიც ამ დროშის ქვეშ დაღვარეს ჩვენმა წინაპრებმა.

შესაძლოა მაშინ ზოგიერთს ებადებოდა ეჭვი, როცა შეხედა ჩვენს პატარა ჯგუფს, ჰფიქრობდა ლეგიონი ვერ ზიდავდა პასუხისმგებლობას, მეტადრე მაშინ როცა მსოფლიო ომის ალშია გახვეული. ჩვენ შევხედეთ ერთმანეთს თვალებში და ამოვიკითხეთ იგივე ცეცხლი რაც გულებში დუღდა, მოვიგონეთ წარსული, როცა ქართველთა ერთი მუჭა რაზმები სისხლს ღვრიდნენ მამულისათვის.

დღეს თვითეულ ჩვენგანს ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ, **ქართველ ლეგიონერთ გვიპყრავს ხელში ერის მომავალი.** ჩვენ არ გაგვაჩნია სხვა მიზანი, ვიდრე გერმანელ ჯარისკაცებთან მხარ და მხარ გვიამართლოთ გამოცხადებული დიადი ნდობა. ტანჯული ერის ბედი დამოკიდებულია ჩვენზე, კერძოდ იმაზე თუ როგორ გავამართლებთ ამ ნდობას. ჩვენ მოწოდებულნი ვართ იარაღითა და საკუთარი სისხლით ვსწეროთ ახალი ფურცლები ჩვენი ხალხის ისტორიისა.

დე, სახელწოდება „ლეგიონერი" გადაიქცეს უწმინდეს მოვალეობათ, ტიტულად იმ ვაჟკაცისა ვინც თავი დასდო სამშობლოსათვის. მხოლოდ ბრძოლა წყვეტს ჩვენს ბედს. ვისაც არ შეუძლია იბრძოლოს იარაღით, დე, იმუშაოს. ჩვენ პატარა ერი ვართ, ახლა ვისაც სამშობლო უყვარს მას არა აქვს უფლება განზედ იდგეს. ის ვინც წინასწარ თრთის, ან რაც ყველაზე უარესია ფიქრობს თავის პირად ინტერესებზე, მას ადგილი არ ექნება თავისუფალ საქართველოში. როცა გერმანია მიაღწევს საბოლაო გამარჯვებას,გამარჯვებულისდროშებთან ერთად, საქართველოს ლაჟვარდოვან ცაზე აფრიალდება ჩვენი შვინდისფერი დროშა. მაშინ დაღუპულ ძმათა სისხლის ხსენებაზე თვითეულმა ქართველმა უნდა უპასუხოს: იყო თუ არა ღირსი გადამწყვეტ მომენტში იმ სისხლისა, რომელიც მისმა მოძმეებმა დაღვარეს სამშობლოსათვის.**დე, ჩვენ შორის მაშინ ნუ აღმოჩნდება ქართველი, რომელიც ხდუმდეს, დარცხვენილი იდგეს, ვალმოუხდელი, მშობელი მიწის წინაშე.**

ლეგ. გ. მ.

## ზეიმი რომში

**ფაშიზმის არსებობის ოცი წლისთავის აღსანიშნავად რომში ჩატარდა დიდი ზეიმი. 28 ოქტომბერს რომისაკენ ლაშქრობის დღეს, მიუხედავათ იმისა, რომ ფაბრიკა-ქარხნები მუშაობდნენ ქალაქის ქუჩებში სუფევდა არაჩვეულებრივი სიხარული. ტივოლიში, შესდგა საზეიმო აქტი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა მინისტრმა ბოტტაიმ, ფაშისტური რაზმების ერთერთმა ყოფილმა მეთაურმა. მუსოლინმა მიიღო მთელი რიგი დელეგაციებისა. გერმანიის საგანგებო დელეგაციას, რომელმაც მუსოლინს გადასცა ადოლფ ჰიტლერის წერილი, მეთაურობდა გერმანიის შრომის ფრონტის ხელმძღვანელი დოქ. რობერტ ლაი. მუსოლინი და ლაი ერთმანეთს მიესალმნენ სიტყვებით. მუსოლინმა გამოსთქვა რწმენა, რომ მეგობრული საბრძოლო თანამშრომლობა, რომელიც გერმანიისა და იტალიის არმიებს შორის არსებობს, წარმოადგენს მომავლის საუკეთესო გარანტიას ორივე ერისათვის. ადოლფ ჰიტლერმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა მეფესა და იმპერატორს ვიქტორ ემანუილსა და ბენიტო მუსოლინს.**



კავკასიის წარმტაცი პეიზაჟი. ხეობა გლუხორის გადასასვლელთან

## კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

### გერმანიის სამთო ჯარის წინსვლა თერგის რაიონში.— აღებულია ქალაქები: ნალჩიკი და ალაგირი. — გერმანიის ავიაცია ჟუმბარებს უშენს ორჯონიკიძეს

### ნ ა ლ ჩ ი კ ი დ ა ე ც ა

ხუთი დღის მძაფრი ბრძოლების შემდეგ თერგის რაიონში, გერმანიისა და რუმინეთის ჯარებმა გადალახეს მთის



მდინარეები და გმირული ბრძოლით აიღეს ყაბარდო- ბალკარეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრი ნალჩიკი. ტყვედ წამოყვანილია 7000 წითელარმიელი და განადგურებულია 122 მძიმე ქვემეხი.

გერმანიისა და რუმინეთის ჯარებმა 25 ოქტომბერს გადალახეს მდინარე ჩეჩენი და გაანადგურეს მტრის დიდი ჯგუფი. მეორე დღეს რუმინეთის ჯარმა გაარღვია მტრის სიმაგრენი და შევიდა ქალაქში. 28 ოქტომბერს ნალჩიკი დაეცა. ნალჩიკს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იგი მდებარეობს გზატკეცილზე პიატიგორსკ - ორჯონიკიძეს შორის და დაკავშირებულია კავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან.

### ა ღ ე ბ უ ლ ი ა ა ლ ა გ ი რ ი

ნალჩიკის აღების შემდეგ, გერმანიისა და რუმინეთის ჯარებმა ახალ გამარჯვებას მიაღწიეს თერგის რაიონში. ძლიერი სამთო ბრძოლების შედეგად მათ აიღეს ქალაქი ალაგირი. ამგვარად ოსეთის სამხედრო გზის დასაწყისი უკვე გერმანელთა და მის მოკავშირეთა ჯარების ხელშია, მტერს უკან დახევის გზა ამ რაიონში გადაჭრილი აქვს. გერმანია-რუმინეთის ჯარები განაგრძობენ იერიშს მდინარე თერგის გასწვრივ და აწარმოებენ ბრძოლას ოსეთის სამხედრო გზაზე. ალაგირი ორჯონიკიძიდან დაშორებულია 30 კილომეტრის მანძილზე. 1 ნოემბერს გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ორჯონიკიძის ჯარის სადგომებს და რკინის გზის ხაზებს.ბოლშევიკების ჯარის ნაწილები, რომლებიც იმყოფებიან იალბუზსა და ბაქსან—ნალჩიკ—ალაგირს შორის გარშემორტყმულნი არიან და მოწყვეტილნი თავიანთ ბაზებს. გერმანია-რუმინეთის ჯარი განაგრძობს წინ სვლას თერგის დასავლეთით.

### ა მ ე რ ი კ ე ლ თ ა ჯ ა რ ი კავკასიისათვის

შვეციის გაზეთების თურქეთის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ დამასკში გადმოსხმული იქნა ამერიკული ჯარის ნაწილები. დამასკიდან ამერიკელთა ჯარი გაიგზავნება ირანში და კავკასიაში. ნაწილები უმთავრესად შესდგებიან სპეციალური და სამთო მსროლელი ჯარებისაგან. ჯარის სპეციალურ ნაწილში იმყოფება აგრეთვე კვროვის მსოფლიო ჩემპიონი ნეგრი ჯონ ლუისი.



საქართველოს სამხედრო გზა

# გენერალ-ფელდმარშალი ფონ კლუგე
## (დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)



30 ოქტომბერს გენერალ-ფელდმარშალს, გერმანიის არმიების ჯგუფის მთავარსარდალს აღმოსავლეთის ფრონტზე, ფონ კლუგეს შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი. ფელდმარშალი გიუნტერ ფონ კლუგე გენერლის შვილია, დაიბადა ქ. პოზენში. ჯერ კიდევ კადეტად ყოფნისას ის ორჯერ იყო დაჯილდოებული მედალით. 1901 წელს მას მიენიჭა ლეიტენანტის წოდება საქსონიის ერთ ერთ საარტილერიო პოლკში. კაპიტანის სახელწოდებით იგი 1914 წელს მსახურობდა 21 კორპუსის შტაბში. დასავლეთის ფრონტზე იგი მოქმედებდა როგორც მფრინავი. ამავე წელს იქნა დაჯილდოებული პირველი ხარისხის რკინის ჯვრით და მფრინავთა წარჩინების ნიშანით. ის მონაწილეობდა ბრძოლებში რუსეთისა და იტალიის ფრონტზე როგორც პირველი ოფიცერი. 1918 წელს კლუგე დაიჭრა ვერდენთან. მსოფლიო ომის შემდეგ ის, პოლკოვნიკის ხარისხით, მეთაურობდა მეორე საარტილერიო პოლკს, გენერლის ხარისხის მიღების შემდეგ იგი ერთ წელს ასრულებდა ინსპექტორის მოვალეობას საკავშირო ნაწილში. 1934 წელს ის მეთაურობდა მეექვსე კორპუსს. 1938 წლის შემდეგ კლუგე დანიშნული იქნა არმიათა მეექვსე ჯგუფის შეფად.

პოლონეთის კამპანიის დროს ადოლფ ჰიტლერმა კლუგე დანიშნა მეოთხე არმიის მეთაურად, ომის დამთავრების შემდეგ მიიღო გენერალ-პოლკოვნიკის ხარისხი და დაჯილდოებული იქნა რაინდობის ჯვრით რკინის ჯვრისა. თავისი არმიით კლუგე მონაწილეობდა საფრანგეთთან ომში. 1940 წელს მას მიანიჭეს გენერალ - ფელდმარშლის სახელწოდება.

აღმოსავლეთის ფრონტზე გენერალ ფონ კლუგემ მიიღო მონაწილეობა დიდ ბრძოლებში: ბელოსტოკთან, მინსკთან, სმოლენსკთან და ვიაზმასთან და შეიჭრა მოსკოვის ახლოს. საზამთრო ოპერაციების დროს იგი დანიშნული იქნა არმიათა ერთი ჯგუფის მთავარსარდლად აღმოსავლეთის ფრონტზე. ფონ კლუგეს სახელთან დაკავშირებულია მთელი რიგი შესანიშნავი გამარჯვებებისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## იაპონიის ავიაციის წარმატებანი

**როგორც იაპონიის სატელეგრაფო სააგენტო ბურმიდან იუწყება, იაპონიის ავიაციამ 25 ოქტომბრიდან აწარმოვა 3 საჰაერო თავდასხმა ინდოეთის საზღვრებზე. ამ თავდასხმებისას იაპონელებმა მიაღწიეს 53 საჰაერო გამარჯვებას.**

## საბჭოთა ახალი ბრძანება

**კუიბიშევიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ 28 ოქტომბერს გამოსცა სპეციალური ბრძანება. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყველა მოწაფემ, დაწყებული 8 წლის ასაკიდან, უნდა შეისწავლოს სამხედრო საქმე.**



სტალინგრადი გერმანელთა საჰაერო თავდასხმის შემდეგ

## ჯოჯოხეთი სტალინგრადში

„დეილი ჰერალდის" მოსკოველი კორესპონდენტი გადმოგვცემს სურათს იმ ჯოჯოხეთური პირობებისას, რომელშიც იმყოფებიან ამჟამად სტალინგრადის დამცველნი. „სტალინგრადში, სწერს იგი, არ არის ერთი წუთი შესვენება, მისმა დამცველებმა გადაივიწყეს ძილი, თუ დალამებასთან ერთად წყდება ბომბარდირება, ერთი წუთითაც არ წყდება ნაღმების ცეცხლი. შემოდგომის ნესტიანი სიცივე ატანს ყველაზე სქელს წამოსასხამშიც, ნანგრევთა შორის ვერგიპოვია ადგილი თავი დაიფარო სიცივისაგან. საბჭოთა ჯარებს საკვები 24 საათის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ მიიღონ, ისიც ღამით. მტრის თავდასხმები არ იძლევიან საშუალებას დღით იქნეს მოზიდული საკვები. ღამით მთელი გარეუბნები განათებული არიან ცეცხლ გაჩენილ შენობებისაგან, ქალაქი წარმოადგენს დანტეს ჯოჯოხეთის სურათს. განთიადისთანავე გამოჩნდებიან გერმანიის თვითმფრინავთა ესკადრილიები და ყველგან გაჩნდებიან ხანძრები. რამდენიმე საათის განმავლობაში თვითმფრინავები ტალღებად ესხმიან თავს ქალაქს. ყველაზე საშინელი თავდასხმები ღამით ლონდონზე არაფერია იმასთან შედარებით, რასაც აქ განიცდიან. როცა თვითმფრინავებმა დაასრულეს მომზადება, იწყება გერმანიის ტანკების იერიში. სტალინგრადის ქუჩები მაშინ დაემსგავსებიან შეშლილთა სახლებს, რომლებიც სავსენი არიან წყევლით, საყვედურით, აფეთქებებით. დამცველები სევდიანად ეკითხებიან თავის თავს: ნუ თუ არაოდეს დასრულდება ეს.

## საალყო წესები სირიაში და პალესტინაში

ქაირიდან იუწყებიან, რომ ანტიბრიტანული დემონსტრაციების კვლავ განმეორების გამო, ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ გამოაცხადა სამხედრო საალყო წესები სირიაში, ლიბანონში და პალესტინაში. მიუხედავად ამისა მაინც მოხდა საბოტაჟის რამდენიმე აქტი. საბოტაჟს განსაკუთრებით ფართო ხასიათი აქვს რკინისგზებზე.

# სამასი ხევსური

ძვირფასო ძმებო, ლეგიონერებო, სანამ სამასი ხევსურის ამბავს მოგითხრობდეთ, საჭიროა ერთი ფაქტი გაგაცნოთ. ჩვენი დიდებული მეფე ირაკლი მეორე ანუ პატარა კახი, როგორც მას ხალხი უწოდებდა, 1783 წელს რუსეთის იმპერატორის კავშირით შეეკრა. ამ კავშირის ძალით რუსეთს საქართველოსათვის სამხედრო და დიპლომატიური დახმარება უნდა გაეწია, საქართველო კი თავის მხრივ რუსეთს უნდა დახმარებოდა მხედრობით, როცა რუსეთი ვინმესთან ომში ჩაებმებოდა. ირაკლიმ პირობა პირნათლად შეასრულა. ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთს ომი მოუხდა თურქეთთან. ირაკლიმ ამ ომში დიდი მონაწილეობა მიიღო, თავისი განთქმული ცხენოსანი ჯარით, მან ასპინძასთან სასტიკად დაამარცხა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარი.

ირაკლიმ რაინდულად შეასრულა სიტყვა. რუსები კი მოიქცნენ ისე, როგორც ყოველთვის—ღალატით. ტყუილად არ იტყოდა ხოლმე ჩვენი საამაყო გმირი ალექსანდრე ბატონიშვილი: **„რუსები ბუნებით მუხანათნი არიანო"**.

ეს ამბავი 1795 წელს მოხდა. მაშინ სპარსეთში მეფობდა დიდი ტირანი აღა-მაჰმედ-ხანი, საქართველოსა და პირადად მეფე ირაკლის დაუძინებელი მტერი. მას ირაკლისათვის ვერ ეპატიებია ის, რომ უკანასკნელმა უწოდა საჭურისი. მაჰმედ-ხანმა დააპირა საქართველოზე გალაშქრება. ირაკლიმ მიმართა რუსეთს, მოსთხოვა დაპირების შესრულება. რუსეთმა აღუთქვა დახმარება. შეთანხმების საფუძველზე რუსეთს ფეხოსანი ჯარი და არტილერია უნდა გამოეყვანა, საქართველოს კი—ცხენოსანი ჯარი. ამიტომ იყო, რომ ირაკლიმა თადარიგი მხოლოდ ცხენოსანი ჯარის თავმოსაყრელად დაიჭირა. მაგრამ როცა მტერი შემოიჭრა საქართველოში, რუსეთმა დახმარების ნაცვლად ირაკლის ასეთი პასუხი შემოუთვალა: **„თქვენდამი დახმარება საკუთილოდ ვერა ვსცანითაო"**.

რუსეთს სურდა საქართველოს დასუსტება, მან იცოდა, რომ სპარსელების მიერ დასუსტებული საქართველო ადვილად ჩაუვარდებოდა ხელში. სპარსეთის მრავალრიცხოვან ჯარს ჩვენი ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა. სასტიკი ბრძოლა მოხდა თბილისის ახლოს, კრწანისის ველზე. ერთი მუჭა ქართული ლაშქარი უძლიერეს მტერს შეება. კრწანისის ბრძოლა ერთი იმ საამაყო ბრძოლათაგანია, რომელმაც გამოსჭედა საქართველოს ეროვნული სული, აამაღლა ჩვენი მამულიშვილური შეგნება.

ირაკლიმ იცოდა, რომ ომის მოგება ნორმალური ტაქტიკით შეუძლებელი იყო; საჭირო იყო რაიმე იმპროვიზაცია, მტრისათვის რაიმე მოულოდნელი აქტის მოწყობა. ამ დროს ირაკლი უკვე 80 წლის მოხუცია, სამოცდა ერთჯერ დაჭრილი. მიუხედავად ამისა იგი ცხენზე მარჯვედ ზის, მკლავი ერჩის, ხმალი უჭრის. მოხუცი შემოიკრებს ასს რჩეულ მხედარს და გააფრთებული ბრძოლის კორიანტელში შიგ მტრის გულში შეიჭრება. ორთავე მხარე, ქართველები და სპარსელებიც განცვიფრდებიან ამგვარი მამაცობით. ირაკლი თავისი არაბულით მიჭრის აღა-მაჰმადხანის კარავისაკენ. მას თავი განწირული აქვს, ცოცხალი მხოლოდ სასწაულით გადარჩება.

ირაკლიმ იცის, რომ შაჰის მოკვლით მტრის ჯარი დაფრთხება, მტრის დამარცხება თითქმის უეჭველია. აჰა, მიატანა ქართველთა რაზმმა შაჰის ბანაკამდე, ირაკლი ცხენ-და-ცხენ შევარდა შაჰის ოქროთი მოჭარგულ კარავში. საუბედუროდ აღა-მაჰმად-ხანმა ირაკლის ხმალს ერთი წუთით გაუსწრო. ომის ბედი ხშირად ერთს წუთს, ერთს პატარა შემთხვევას გადაუწყვეტია ხოლმე. ირაკლიმ რაღაც სასწაულით დააღწია თავი მტერს.

სამი დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ ირაკლის ჯარის მეექვსედი აღარ შერჩა, იგი იძულებული იყო ნარიყალას ციხეში ჩაკეტილიყო. მტერმა ალყა შემოარტყა ციხეს. მაგრამ სპარსელები დასუსტებულნი იყვნენ, უკან დახევას აპირებდნენ. სამწუხაროდ თბილისის ქალაქის თავმა ბებუთიანცმა ჩუმად აცნობა შაჰს, რომ ირაკლის ჯარი თითქმის აღარ ჰყავს, შეცვლა ჯერ არ მოსულა, ტყვია-წამალიც აკლია. მეორე თბილისელმა სომეხმა ყორღანოვმა ხომ ღალატით ციხის კარებიც გაუღო მტერს. თბილისი აღებული იქნა.

მტერმა თბილისი ცეცხლსა და მახვილს მისცა. ირაკლიმ თავისი ამალით არაგვს მიაშურა, რათა იქ შეეკრიბა ახალი ჯარი, ბრძოლა გაეგრძელებია. თბილისიდან გამოქცეულნი მცხოვრებნი მცხეთის გზაზე სამასს ხევსურს შეხვდნენ. ომის ამბავი გვიან გაეგოთ ხევსურებს. თბილისელებმა ხევსურებს უკან დაბრუნება ურჩიეს: „მეფე ირაკლის მიაშურეთ, ხომ ხედავთ თბილისს ყოველმხრივ ცეცხლი უკიდიაო". ჩვენ უკან დამხევნი არა ვართ — უპასუხეს მათ მთის არწივებმა. ამ დროს მოვიდა ყარაბახის ხანიც, რომელიც ირაკლისაკენ მიდიოდა. ხანი ირაკლის კარგი მეგობარი იყო, კრწანისის ველზე მასთან ერთად იბრძოდა ვაჟკაცურად. ხევსურებმა მიმართეს ხანს: „ბრწყივალე ხანო, ჩვენ თქვენებრ დიდი კაცი გვესაჭიროება ბელადად. თუ ჩვენთან ერთად სიკვდილი გსურთ ნამუსისა და ვაჟკაცობისათვისა, ინებე და გაგვიძეხიო". ხანმა შეასრულა თხოვნა. ხევსურები ქართული ჩვეულებისამებრ ცხენებიდან გადმოხტნენ, დაიჩოქეს, მიწას ეზიარნენ. ხევსურთა რაზმი შეუმჩნევლად მიადგა ქალაქს. შეიჭრნენ შუაგულში, სადაც კი დაჰქროლეს დახოცილ სპარსთა გროვა დააყენეს. ვაჟკაცურად მოკვდნენ ხევსურნი, მოკვდა ყარაბახის ხანიც.

გმირმა ხევსურებმა უკვდავი ძეგლი აიგეს საქართველოს ისტორიაში. მათი თავდადება და გმირობა ბრწყინვალე მაგალითია მამულიშვილური შეგნებისა. სამასი ხევსურის თავგანწირულებამ გამოსჭედა ჩვენი ეროვნული სული. იცოდეთ და გწამდესთ ლეგიონერნო, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში წინ სამასი ხევსურის სული მიგიძღვით. დროშა, რომელიც ხელთ გიპყრიათ, ქართველი გმირთა მიერაა გამოჭედილი, მათი სისხლით აწერია ზედ ჩვენი ერის მთელი ისტორია.

# დამესიზმრა

დამესიზმრა: საქართველო
სამფეროვან დროშას ქსოვდა,
შიგ საყვარლად სატრფიალო
ნერგარებას ჩააქსოვდა.
ანგელოზნი გარს ეხვივნენ,
მომავლის ჰანგებს მღეროდნენ,
ქართველთ შვილნი მოუსმენდნენ,
საკრავთ სიმნი როგორ ჟღეროდნენ.
მე წინ წარვსდექ, მოელვარემ
ალვაპყარი ხელი ზეცას
და შევხედე ქალს მდუმარეს,
მისცემოდა იგი სევდას.
შევეკითხე: „ჩემო დაო,
ყველა ხარობს, შენ კი სტირი,
ეს რას ნიშნავს, ანდა რაო?
ყმაწვილი ხარ, ვითომ ჩვილი?!“
მიპასუხა: „სიხარული
კარგი არის, მართალია,
მაგრამ ჰკვნესის, ოხრავს გული,
ცრემლი მისი წამალია!
ცხრა შვილი მყავს დამარხული
ცივ რუსეთის სამარეში,
ეს მომიზლო მხეცმა, რომ ზის
იქ, მოსკოვის სავანეში“!
ნუგეშად მას ხელთ მივეცი
დროშა ჩვენი, ნაქარგავი
და ვუთხარი: „მოკვდა მხეცი,
მოკვდა ჩვენში ეკალთ მრგავი“!
აქ უეცრად ანგელოზთ ხმა
საამურად აგუგუნდა,
დაიწყნარა გული ქალმა
და ყველა ლხინს დაუბრუნდა.

ა. დარეჯანიძე.

## დიდი ნაციონალური დღესასწაული თურქეთში

მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს თურქმა ხალხმა აღფრთოვანებით იზეიმა ოსმანთა იმპერიის დამხობისა და თურქეთის ნაციონალურ რესპუბლიკად გამოცხადების 19 წლის თავი. ოსმანთა იმპერია დამკვიდრდა ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში. ერტუგრული, თურქთა ერთ-ერთი შტოს ბელადი, სპარსეთზე გავლით, მოვიდა მცირე აზიაში. აქ იგი შეებრძოლა სელჯუკ თურქებს და შეერია მათ. ერტუგრულის შემდეგ, 1281 წელს, ასპარეზზე გამოდის ოსმანი, რომელმაც 1299 წელს უკვე დააარსა „ოსმანთა იმპერია“.

1905 წელს თურქეთში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა თურქთა კავშირი, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა მუსტაფა ქემალმა. 1908 წელს დამხობილი იქნა აბდულ ხალიფი, გამოცხადდა კონსტიტუცია, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა ახალგაზრდათა სურვილებს. მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთს ზავზე უნდა მოეწერა ხელი. ენვერ-ფაშამ სრული მარცხი განიცადა. ზავის დადების შემდეგ თითქოს თურქეთის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მუსტაფა ქემალი, ანატოლიაში მყოფი, აერთიანებს თავის რაზმებს, ჰქმნის ბრძოლის უნარიან არმიას, ილაშქრებს ბერძნების წინააღმდეგ, რომლებიც ხმელთა-შუა ზღვამდე იქნენ უკუგდებულნი. 1922 წელს მუდანიში დაიდო ზავი. სამი კვირის შემდეგ ნაციონალურმა კრებამ გააუქმა სულთანატი. ანკარა გამოცხადდა დედა-ქალაქად, თურქეთი — რესპუბლიკად, რომლის პირველი პრეზიდენტი იყო მუსტაფა ქემალი. მან უდიდესი რეფორმები გაატარა თურქი-ხალხის ნაციონალურ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მუსტაფა ქემალმა ისმაილეთი დაუახლოვა ევროპას და მან სახელად ათა-თურქი დაირქვა. უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტად არის ისმეტ ინენუ. თურქმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ნაციონალური თავისუფლების 19 წლის თავი.

## სარაჯოღლუს სიტყვა

თურქეთის მინისტრ-პრეზიდენტმა სარაჯოღლუმ თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 19 წლის აღსანიშნავ ნაციონალურ ზეიმის დღეს რადიოთი წარმოისთქვა სიტყვა. „ჩვენი მომავალი, — განაცხადა მან, — მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი. ჩვენ წინაშე არის სხვა და სხვა სახის სიძნელენი, რომლებიც უნდა გადავლახოთ, საშიშროებანი, რომელიც უნდა ავიცილოთ თავიდან. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი გულები და ნებისყოფა იწრთობა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ თურქი ხალხი მზადაა ყოველგვარ შემთხვევითობისათვის. სულთანატის დროს ევროპაში არ იყო არც ერთი სახელმწიფო, რომლის სრულ თანასწორუფლებანიც ყოფილიყო თურქეთი, ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელმაც არ გვალიაროს ჩვენ მასთან თანასწორუფლებიანად“.

8 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კალინინმა, კრემლში მიიღო კოლმეურნე კომკავშირელები და მიმართა მათ ვრცელი სიტყვით.



კალინინი: მთელი ჩვენი იმედები ამჟამად დამყარებულია თქვენზე.

## შვეიცარიის სოფელში

ციურიხიდან ოფიციალურად იყო ცნობა სოფელ შტეგენში (შვეიცის კანტონი) ამბოხების შესახებ. ამ სოფელში უკანასკნელად სწარმოებდა ძლიერი ვაჭრობა სურსათით. ერთ - ერთი მხვილი ვაჭარი დაპატიმრებული იქნა, მის წისქვილში დააყენეს რამდენიმე მოხელე - კონტროლიორი. კონტროლიორების მისვლამ სოფელში უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია, მათ შეხვდნენ გლეხების ბრბონი და არ მისცეს საშუალება შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. დააპატიმრეს დატუსაღებული ვაჭრის დამქაშები. ეკლესიის ზარის ხმაზე მეზობელ სოფლებიდან გამორბოდა ხალხი. ხელისუფლება იძულებული გახდა გამოეწვია ჯარი. ჯარის მოსვლის შემდეგ მღელვარება დაწყნარდა. ჩატარდა მთელი რიგი დაპატიმრებანი და დაკითხვანი, გამოძიებანი. გლეხებისაგან ნაცემი ერთ-ერთი მოხელე მოთავსებულია საავადმყოფოში.

# გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში

### 3. გერმანელი მრჩეველი. ქართული ლხინი.

გერმანიის სამხედრო დელეგაციამ საჭიროდ სცნო ქართულ სამხედრო სამინისტროში გერმანიის საგანგებო სამხედრო მრჩევლის მოწვევა. საქართველოს მთავრობა მას დაეთანხმა ამ მოთხოვნილებაზე. მალე ბერლინიდან ჩამოვიდა გენერალ ჰინდენბურგის მიერ გამოგზავნილი მაიორი გრაფი ვოლფსკელი. იგი შეუდგა ქართული მუდმივი ჯარის ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გარკვევას. ჰაუპტმან კაიზერის (კაიზერმა უკვე წარჩინება მიიღო) და ქართული გენერალური შტაბის ოფიცრების დახმარებით მაიორმა ვოლფსკელმა შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ უნდა შემდგარიყო ქართული ეროვნული ჯარი. ამ პრაქტიკული გეგმის განხორციელება მოითხოვდა პარტიული გვარდიის დაუყონებლივ ლიკვიდაციას.

როდესაც გეგმა განსახილველად წარდგენილი იქნა საქართველოს საპარლამენტო სამხედრო კომისიაში, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ სოციალისტები ს. მდივანის მეთაურობით. ისინი მოითხოვდნენ „სახალხო გვარდიის“ ხელუხლებლად დატოვებას. ეს გასაგებიც იყო, რადგან ამ დროს მზადდებოდა არჩევნები საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის და სოციალისტებს ესაჭიროებოდათ „გვარდიის“ დახმარება.

საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა, ქვეყნის სამხედრო თავდაცვის პრინციპი ვერ ითმენდა ორი სამხედრო სისტემის არსებობას. გრაფი ვოლფსკელი გადადგა „მრჩევლის“ თანამდებობიდან და მოემზადა გერმანიაში წამოსასვლელად. ქართულ კლუბში გამართულ ბანკეტზე, რომელიც მიძღვნილი იყო გრაფ ვოლფსკელის გამომგზავრებისადმი, სოციალ- დემოკრატები ქებადიდებას ასხამდნენ გრაფს. საქართველოს სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ გრაფს მიართვა ვერცხლით მორთული ქართული ხმალი. ამ სურათით განცვიფრებულმა გრაფმა წარმოსთქვა: „რისთვის? რატომ? გარდა შეწუხებისა მე თქვენთვის სხვა არაფერი მომიტანია. თქვენ ჩემი რჩევა არ მიიღეთ... რისთვის ან ვისგან ვიღებ ახლა ამ ძვირფასს საჩუქარს?“

გრაფის ამ სიტყვებს შესანიშნავად უპასუხა გამოჩენილმა ქართველმა მხედარმა ე. გულისაბედიშვილმა: „ამ საჩუქარს, — სთქვა მან, — თქვენ ღებულობთ ქართველი პატრიოტებისაგან, საქართველოს სამხედრო წრეებისაგან. თქვენ ყველაფერი თქვით და გააკეთეთ, როგორც შეგეძლოთ. თქვენს ამაგს აფასებს ქართველი ხალხის ის დიდი ნაწილი, რომელიც თქვენთან ერთად ერის თავდაცვის საქმეს პარტიულ ინტერესებზე მაღლა აყენებს.“
გამოთხოვებისას გრაფმა განაცხადა: „ვტოვებ საქართველოს და მიმაქვს თან დიდი სიმპატია ქართველებისადმი, მაგრამ ამავე დროს თან მიმყვება გულისტკივილიც, რომ ვერ შევსძელი დამერწმუნებინა თქვენი ხალხის ახლანდელი მეთაურები, მიეღოთ ჩემი რჩევანი“.

გრაფი გაემგზავრა ბერლინს.

გერმანელების მოღვაწეობამ მალე მიიზიდა თბილისის საზოგადოების ყურადღება. გერმანელებს სურდათ კიდევ უფრო დაახლოვებოდნენ ქართველებს, გაცნობით, მისვლა - მოსვლით და სხვა. გენერალ გაბაშვილმა მოაწყო წვეულება. წყნეთის ქუჩის ახლოს სახლში სამი დარბაზი გაივსო მოპატიჟებული სტუმრებით. აქ იყო მთელი თბილისი — მთავრობა, ქართული პარტიების მეთაურნი, გერმანელთა და ავსტრიელთა დელეგაციების წარმომადგენელნი, უფროსი ოფიცრობა. მაგიდის შუაგულში ისხდნენ გერმანელთა და ავსტრიელთა დელეგაციის უფროსები ფონ კრესი და მაიორი ფონ ფრანკენშტაინი.

გაიმართა ლხინი. ი. ბარათაშვილმა ჩამოჰკრა თარზე და საამური ხმით იმღერა ქართული რომანსი „შენ გეტრფი მარად“. ამ სიმღერამ კიდევ უფრო გაალამაზა სუფრა. დავიწყებული იქნა გუშინდელი უთანხმოებანი. ძველმა ქართულმა ტრადიციამ — სუფრამ ერთიანობა ჩამოაგდო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასპინძელმა, გენერალ გაბაშვილმა აიღო ვერცხლის აზარფეშა და მიმართა თავის ევროპიელ სტუმრებს: „მადლობელი გახლავართ პატივისცემისათვის, ბოდიშს ვიხდი, რომ სიღარიბის გამო ვერ შევსძელი უკეთესად შეგხვედროდით. ნება მიბოძეთ ეს ნაკლი სიტყვით მაინც შევავსო. ჩემს ჭალარას არ შეშვენის სიყალბე. გულახდილად გეტყვით, რომ არ მოველოდი იმას, რაც თან მოიტანეს გერმანელებმა საქართველოში. თითქმის მთელი მსოფლიოსთან მებრძოლი, ამ სისხლის წვიმების ხანაში, აზიის მიჯნებზე გადმოსული თავისი ჯარით, ასე ბრწყინვალე წესრიგითა და დისციპლინით, მე, ძველს მხედარს თავს მომახრევინებს. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის საამაყოა ის, რომ თქვენ ასეთი ყურადღება გამოიჩინეთ ჩვენი პატარა ერის საჭიროებისადმი, მისი საშინაო და საგარეო ცხოვრების განმტკიცებისათვის. ეს რაინდული მოქცევა აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას კეთილშობილებაზე... ნება მიბოძეთ მაღლა ავსწიო ეს ქართული სასმისი და გამოვსახო გრძნობები მთელი ქართველი საზოგადოებისა... მრავალჟამიერ თქვენს კეთილშობილებას!“

გუგუნებს ქართული „მრავალ ჟამიერი“.

# მოკლე ცნობები

▲ ინგლისელებმა ქაირში დააპატიმრეს ინდოელი სტუდენტები, რომელთაც ბრალდებათ რევოლუციური მოღვაწეობა.

▲ სირიაში და ლიბანონაში ინგლისის ხელისუფლებამ კონფისკაცია უყო იალქნიანსა და მცირე გემებს ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში საკვები პროდუქტების გადასაზიდად.

▲ ვინდელ ვილკი ემზადება გამოვიდეს რესპუბლიკური პარტიის შემადგენლობიდან და დაარსოს ახალი, მესამე პარტია „ლიბერალური პარტიის“ სახელწოდებით

▲ რეზინისა და ბენზინის სიმცირის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობა შესწყვიტა 17 ათასმა ავტომანქანამ.

▲ იტალიის გაზეთი „პოპოლო დ იტალია“ იუწყება, რომ არაბმა ნაციონალისტებმა მოსულის ნავთის რაიონში, კერკულში გააჩინეს დიდი ხანძარი. აფეთქებულია აგრეთვე ჯავშნიანი ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ ინგლისელი პოლკოვნიკი სმიტი და ბრიტანეთის 5 ჯარისკაცი.

▲ „დეილი ექსპრესის“ ცნობით ინგლისის სავაჭრო ფლოტმა ომის დაწყებიდან დაჰკარგა 16 ათასი მეზღვაური. ეს რიცხვი 1000 კაცით აღემატება პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა რაოდენობას.

▲ ჩუნკინგის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინეთ-იაპონიის ომის დაწყებიდან ჩუნკინგის მთავრობის მიერ არმიაში მობილიზებულია 11,5 მილიონი კაცი.

▲ ჩილის მთავრობამ ორ პროვინციაში გამოაცხადა სამხედრო წესები, რომლებმაც ამ პროვინციებში გამოიწვიეს საყოველთაო გაფიცვები. მთავრობამ უარი განაცხადა გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე.

▲ უკანასკნელი სახალხო აღწერით ინდოეთის მოსახლეობა უდრის 388 მილიონს, 1931 წელში ჩატარებულ აღწერასთან შედარებით მოსახლეობის რიცხვი გაზრდილია 50 მილიონი კაცით.



ქართულ ლეგიონში. საველე მეცადინეობაზე წასვლის წინ

# ახალი ჩონგურული

დაუკარ, ჩემო ჩონგურო, გათლილო იფნის ხისაო,
გულს ნისლი გადამიყარე, გახდი ბულბულის ხმისაო,
მაჩვენე ტურფა თვალები, ჩემი დამწველი მზისაო,
ის ახლა ჩემზედა ჯავრობს, თვალცრემლიანი ზისაო.
ნისლო, მაღალო ცაზედა, მთა-ველი გადაიარე,
კავკასიონზე გადადი, ნუ შეუდრკები გრიგალებს,
ერთი ლამაზი დავტოვე, მხოლოდ ის მანაღვლიანებს,
ჩადი დ ჩემი ამბავი იმედათ გაუზიარე.
თქვენც, ჩიტუნებო, მალხაზნო, აქ რომ დაფრინავთ ლაღადა,
იქ მეტი ხანავარდო გაქვთ, უფრო აცხუნებს მზე ველად,
გასწით, გაფრინდით და მამულს ამბავად ესე უთხარით:
შვილები მისი უცხოეთს ერთად შევყრილვართ მქუხარნი.
მერე მოკითხვა გადაეცით სამშობლოს ველებს, რძიანებს,
უხვ კახეთსა და იმერეთს, ფშავ-ხევსურთ ვაჟკაცთ, ფხიანებს,
დაგრეხილ კლდეებს თუ მთათა, ვერხვებით მოსილს ტყიანებს,
უამბე, როგორ გადვურჩით შავ სიკვდილსა და ქარიშხალს,
რატომ ვირჩიეთ, კვლავ ხელში რომ იარაღი ავისხათ,
გვიყვარს-თქო ჩვენი სამშობლო, თამარის და ნესტანისა,
ჩვენი ხმალი და ადათი დასტური არის ამისა.

ლეგ. ვ. ურდოელი.

## ფ ე ხ ბ უ რ თ ი

### გერმანია—ხორვატია

2 ნოემბერს ქალაქ შტუტგარტში ჩატარდა მატჩი ფეხბურთში გერმანიისა და ხორვატიის ფეხბურთელთა სახელმწიფო გუნდებს შორის. ეს გუნდები უკვე მესამეჯერაა შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩს 50 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. თამაში მეტად საინტერესო იყო და დამთავრდა ანგარიშით 5:1 გერმანელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

# სუეცის არხი

მას შემდეგ რაც ღერძის სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები შევიდნენ ეგვიპტის ტერიტორიაზე, სუეცის არხი გახდა მსოფლიოს ყურადღების ცენტრად. ეს არხი ინგლისისათვის წარმოადგენს ერთად-ერთ უმოკლეს გზას, რომლითაც იგი უკავშირდება ინდოეთს, დიდი ბრიტანეთის იმპერიის აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს. სუეცის არხის სიგრძე 171 კილომეტრია, სიგანე 100—135 მეტრი. არხი აერთიანებს ხმელთა-შუა ზღვის ნავთსადგურს პორტ-საიდს, სუეცთან, რომელიც წითელ ზღვაზე მდებარეობს და წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზას. 1870 წელთან შედარებით, ომის წინა წელს არხში გასულ გემთა საერთო რიცხვი გაიზარდა 30-ჯერ, ხოლო ტონაჟი — 80-ჯერ.

1882 წელს არხში გასულ გემთა რიცხვის 80პროცენტი ეკუთვნოდა ინგლისს, 1914 წელს 66 პროცენტი, 1938 წელს 50 პროცენტი. მხოლოდ სუეცის არხის მეშვეობით შეეძლო ინდოეთს დაეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო ბაზარზე .

ბრიტანეთის იმპერიისათვის ეგვიპტესა და სუეცის არხს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. 70 წლის გა-





ნმავლობაში ინგლისი ცდილობდა განემტკიცებინა აქ თავისი ბატონობა. 1914 წელს ომის დაწყებისას ეგვიპტე გამოცხადებული იქნა ინგლისის საპროტექტორატოდ, 1922 წელს კი, როგორც ვიცით, იგი „დამოუკიდებელი“ სამეფოა. ინგლისმა შეინარჩუნა კონტროლი საიმპერიო გზებზე და სამხედრო პუნქტებზე. მან დაიტოვა აგრეთვე უფლება დაიცვას სხვა სახელმწიფოები, მათი მცირე ერები (მაგ. სუდანი). 1936 წლის ხელშეკრულების თანახმად ინგლისმა მოიპოვა უფლება არხის ზონაში ჰყოლოდა 10 ათასი ჯარისკაცი და სამხედრო პაეროდრომა 400 მფრინავით. 1939 წლიდან ეგვიპტე ინგლისის საპროტექტორატოა.

სუეცის არხი წარმოადგენს ინგლისის სამხედრო ფლოტისა და არმიის მომარაგების ძარღვს, ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგვიპტეში, სირიაში, მალტაზე, კიპროზე, აღმოსავლეთ აზიაში და სხვ. არხი არის ინგლისის ერთად-ერთი მასაზრდოებელი არტერია, რომლითაც მეტროპოლიაში შედის მნიშვნელოვანი საქონელი და ნედლეული ავსტრალიიდან, შორეული აღმოსავლეთიდან. ამ არხითვე მიდის ნავთი ინგლისში ირანიდან, ბაჰრენის კუნძულებიდან და ნაწილობრივ ჰოლანდიურ ინდოეთიდან.

ღერძის სახელმწიფოებმა სამხედრო ოპერაციების ეგვიპტეში გადატანით მოუსპეს ინგლისს საშუალება ისარგებლოს არხით. 1940 წლიდან გერმანია იტალიის ავიაციის განუწყვეტელმა თავდასხმებმა მიმოსვლა შეამცირეს 90 პროცენტით. ინგლისის იმპერიის ბედი, წყდება სუეცის არხის ბედით.

# ჭადრაკობა

## სიტყვათა შეჯვარება

### № 6



#### ჰორიზონტალური

1. სახელგანთქმული მეომარი ქართველი მეფე, 2. ორი, 8. თაფლის დამამზადებელი „ქარხანა“, 9. საზომი ერთეული, 10. ზღვა შორეულ აღმოსავლეთში, უკანასკნელი ასოს გამოკლებით, 11 თათრული სახელი, 12. სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

#### ვერტიკალური

2. უმავთულო ტელეფონი, 3. რკინის გზის სადგური ჩრდილო-კავკასიაში წინა და უკანასკნელი ასოების გამოკლებით, 4. მცენარე რომელიც ტყეს იცავს აოხრებისაგან, 6. რიცხვია, 7. მდინარე საქართველოში.

## სიტყვათა შეჯვარების № 4 ახსნა

#### ჰორიზონტალური

1. მითი, 3. ხარი, 5. ფერმა, 8. როა, 10. იმე, 12. მთა, 13. ალიასკა, 14. ალი, 15. ახი, 17. ილო, 19. წვიმა, 20. ეტლი, 21. ისლი.

#### ვერტიკალური

1. მარი, 2. იერ(ი), 3. ხმა, 4. იშვა, 6. რომაელი, 7. ხმალი, 9. ათასი, 11. ელი, 12. მკა, 14. (დ)ანტე, 16. იხვი, 17. (ტ)ივი, 18. ომი.

## გამოფენა რომში

19 ნოემბერს ქალაქ რომში გამოფენათა ნაციონალურ დარბაზში მოეწყობა გერმანული ჟურნალ - გაზეთების დიდი გამოფენა. ამ გამოფენამ უნდა გვაჩვენოს გერმანული პრესის, როგორც მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტორის გავლენა გერმანული ეროვნული ცხოვრების ყველა დარგზე.



კლდოვანი ხეობებით მწვერვალისაკენ


პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. გაი მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28

ბერლინი, ქართული სტამბა.
დაბეჭდილია Deutscher Verlag, Berlin.